

# მთაწმინდა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მხოლოდ პეტრის სტრიტონი—265, სანაგველოა. განცხადება 40 მანეთი. რედაქციისა და კანტორის არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მდებარეობა: თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16-62.

ორგანო სახალხო-სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დღეშეთის ერობის საბჭოს გამგეობა უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დღეშეთის ერობის ხმონის **გიორგი მიხეილის კე საგაზვილის** გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამა წლის 8 აგვისტოს.

დღეშეთის მაზრის ერობის ხმონათა საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ფრაქციის წევრის **გიორგი მიხეილის კე საგაზვილის** გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამა წლის 8 აგვისტოს.

გაუბედურებული მეუღლე ალეთი გვაზავისა და უზომო მწუხარებაში მყოფნი შვილები: აკაკი, გრიშა, შალიკო, ჟორჯიკა, ოლია და თამარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და უკანასკნელთ საყვარელი მამა **ტარიელ ვასილის კე გვაზავა.** გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 12 აგვისტოს, საკუთარ სახლიდან ბათუმში.

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე ტარიელის ასული სალუქვაძისა თავისი ქმრით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ მამის **ტარიელ ვასილის კე გვაზავას** გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა სამშაბათს, 12 აგვისტოს, საკუთარ სახლიდან ქალაქ ბათუმში.

## რუსეთის მოგავალი ფაქტები და მკვლელობები

რუსეთის „აღმდგენელი“ არა მარტო ხმლით, არამედ სიტყვიდაც მუშაობენ და ყოფილი დიდი რუსეთის მიწა-წყალს ერთგულად „აგროვებენ“. იმ დროს, როცა ძველი რუსეთის გენერლები—კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი იარაღით ებრძვიან თავის მოწინააღმდეგეთ, კოლჩაკის ოფიციალური წარმომადგენელი, თვითმპყრობელობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში „აზნაღებს“ ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ერთი ასეთი რეკლარაცია გადმოიქცეოდა გვერდებზე ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში.

რას ამბობს საზოგადოებრივი დეკლარაციაში? მას არ აწყობს მომავალი დიდი რუსეთის სოციალური ურთიერთობა. რუსეთი, სხვათა შორის, მოშლილია ეკონომიკურად, შეწყვეტილია მისი ალბ-პიკეობა, დანგრეულია ქარხნები, დაქცეულია მეურნეობა სოფლად. მაგრამ რაც თავი და თავია, ყოფილი ძლიერი იმპერია, რომელსაც მთელი დედა მიწის მიუქცევი ეკავა, დღეს აუარებელ ნაწილებად და დაყოფილი და არა თუ არავითარი კავშირი არაა ამ ნაწილებს შორის, პირიქით ისინი ბრძოლის ალში არიან გახვეწილი.

პირველ ყოვლისა, ცხადია, კოლჩაკი და მისი წარმომადგენელი საზოგადოებრივი ცდილობენ ისევ შეაერთონ აწ დაქსაქსული ნაწილები, ისევე, როგორც დანგრეული ტაძარი, მათ ხელში რომ იყოს საკმაო ფიზიკური ძალა, დაარაკით, რასაკვირველია, თავს არ შეიწყუბუნებდნენ, მაგრამ რადგანაც ასეთი ძალა არა აქვთ, საზოგადოებრივი ცდილობა ძველი გზის დატოვებას, ცოდვების შენაჩებას. ის ამბობს: „ჩვენ ვიცით ის უარყოფის და უნდობლობის გრძობები, რომლითაც ადგილი არიან ეხლა მრავალი წარმომადგენლები სხვადასხვა ეროვნებებისა. ჩვენ ვნანობთ იმ უსამართლობისა და წინასწარ შეხედულებების გამო, რომლებიც გამომდინარეობენ ამ გვარ სულიერ განწყობილებიდან, თუკა გვესმის რომ ეს რეაქციაა ზოგიერთ წარსულ ამბებისა“. და ამ სინანულის გამოთქმის შემდეგ საზოგადოებრივი ცდილობა ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილებას, რომლის უკეთესი თვით ინგლისელ გენტლმენებსაც არ ზმანებით: „უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა ერთი მთავარი თვისება იქნება კონსტიტუციისა“, რომელსაც, საზოგადოების განცხადებით, სრულიად

რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს და მიიღებს. ამ კონსტიტუციით „ახალ რუსეთში ადგილობრივი მართებლობა იქნება ძირითადი ბაზა ცენტრალური მთავრობისა“. „კოლჩაკი ფიქრობს ძველი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტა თვით მცხოვრებთა გადასაცემს და ცენტრალური მთავრობის დაუტოვებლად ფუნქციები საერთო ხასიათისა, რომელიც განსაზღვრული იქნება კონსტიტუციით“. „ცენტრალური მთავრობის გამგებლობაში იქნება საგარეო ურთიერთობა, არმია და ფლოტი, ერთიანი ფულის სისტემა, ფოსტა და ტელეგრაფი, მიმოსვლის მთავარი გზები, საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსები, უმაღლესი სასამართლოები, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი“.

სამაგიეროდ „ოლქები დაყოფილი იქნება ეთნოგრაფიული სხვადასხვაობის მიხედვით და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები კანტონებს გაუწევენ ოლქების გასაყვას და შემოსავალს“. როგორც ამ ამონაწერებიდან სჩანს, რუსეთის „შემკრებ“ კოლჩაკს მართლა გადაწყვეტილია ძველი გზის დატოვება. „ადგილობრივ მართებლობის ძირითად ბაზად“ გადაქცევა—ეს სრულიად ახალი სიტყვაა რუსეთისათვის. რასაკვირველია, დიდი მანძილია ამ „ახალ სიტყვასა და ფედერაციის შორის, რომლის მოწყობას საზოგადოებრივი ცდილობა ასეთი წყობილებაც გარანტია იქნებოდა ძველი რუსეთის საზღვრებში თავმოყრილ და დღეს დაქსაქსულ სხვადასხვა ერთა თავისუფალ განვითარებისათვის.

როგორია ჩვენი დამოკიდებულება ამ დეკლარაციასთან? ფორმალურად, საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით, საქართველომ მხოლოდ დაიბრუნა ის, რაც მას ამ ასი წლის წინეთ წაართვა რუსეთმა ხელშეკრულების დარღვევით და უზემის ძალის შემწეობით. საქართველო თავისი ნებით შევიდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ და მფარველობის ნაცვლად მაშინდელ დიდ და „ერთმორწმუნე“ რუსეთისაგან პოლიტიკური მონობის უფელი მიიღო. შარშან, უდიდეს განკითხვის ეპოს, რუსეთმა არა მარტო მიატოვა საქართველო, ის ოსმალეთს ჩაუდო პირში და ამ გარემოებაში გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც ერთხმად დადასტურდა კანონიერად არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ. არსებითად კი, შექმნილ პირობების მიხედვით, ჩვენი თვის უფრო ხელსაყრელია და

მოუკიდებლობა, რადგან ამ დამოუკიდებლობასთან ერთად ჩვენ გველისხმობთ მუდმივ ნეიტრალიტეტს, საერთაშორისო ომების გარეშე ვფიქრობთ დგომას. რუსეთის ფედერაციაში ყოფნა კი მოსალოდნელ ომებისაგან ვერ უზრუნველგვყოფს.

მართალია, ჩვენ არ ვტავუვდებით გულ-უბრყვილო იმედით, რომ ჩვენი ნეიტრალიტეტი ფაქტურად მტკიცე იქნება. პირიქით, შეიძლება პირველ წლებში მაინც, ხშირი ომები და შეხლა-შემოხლა მოგვინდეს ზოგიერთ მოუსვენარ და უკულტურო მეზობელთან, მაგრამ რუსეთის იმ ფედერაციაში შესვლას, რომელსაც საზოგადოებრივი ცდილობა, მაინც დამოუკიდებლობა გვიჩვენებს. კიდევ რომ გულწრფელი იყოს საზოგადოების სინანული, კიდევ რომ ბეჯითად ეცადოს კოლჩაკი წვრილი ერებისათვის თავისუფლების მინიჭებას, ამას ის ვერ შესძლებს.

სანამ კოლჩაკი—დენიკინი ექიშებიან ბალ-შევიკებს, ისინი მართლა ცდილობენ კანონიერების მატარებლად მოაჩვენონ თავი ქვეყანას, მაგრამ ის ელემენტები, რომელნიც მათ უმწევენებენ მხარს, ისე შორს არიან კანონიერებისა და თავისუფლების სიყვარულისაგან, როგორც ცა და დედამიწა. და თუ მათ ზედ-მა გაუღიმა და უცხოელებს დახმარებით იქნება, თუ საკუთარი ძალებით, ბალშევიკები დაამარცხეს, მაშინ ისინი მოგვეცემს ისეთი წყობილებას, რომელსაც საერთო არა იქნება რა დემოკრატიზმთან. ხოლო თუ რას უნდა მოველოდეთ უკეთუ ბალშევიკები გაიმარჯვებენ, ამაზე ლაპარაკიც მეტია: საკმაოა, თუნდაც ზერელეთ გავიცნოთ ბალშევიკების ნამოქმედარი.

რუსეთთან დაკავშირება დღეს, თუნდაც მეტად ფართო ფედერაციის საფუძველზე, ეს იქნებოდა ზიდა იმ მძიმე და აუტანელ ტვირთისა, რომელსაც რუსეთში არსებული სა-მოქალაქო ომი იწვევს, ომი, რომელიც რამდენიმე ფრონტზეა გაიშეული და უზედურ რუსის ხალხს მუსრს ავლებს. ამ ომს დასასრული არ უჩანს. და თუ დიდ რუსეთს, მი-დღის ტერიტორიით და მცხოვრებთა რიცხვით, არ უყვარს ძალების დაზოგვა, ჩვენს პატარა კუთხეს სამოქალაქო ომი გადამენების მეტს ვერას მოუტანს.

დანაელების მეშინიან, თუნდაც ისინი ძღვენიტ მოდიოდნენ. რუსეთის საზღვრებში შესვლა ჩვენთვის სახიფათოა, რა რიგ კარგი დაპირებები არ მივიღოთ კოლჩაკ—საზონივისა თუ სხვა ვისმესაგან. დამოუკიდებლობის დაცვას თვით დღევანდელი ცხოვრება გვიკარნახებს.

## პრესა

ჩვენს შენიშვნაზე, რომ ისე კანონის კრიტიკა შეუძლებელია, როგორც ამას „საქართველო“ და ნაციონალ-დემოკრატები სჩადიან თქო, „საქართველომ“ (170) თავის „უცხიდან“ მორიგი ფურტურისტი მწერალი გამოახტუნა და ლანძღვა-გინებით აღსავსე საპასუხო წერილი დააწერა.

ჩვენ არ გვეშინია კანონის კრიტიკისა, მაგრამ განა კრიტიკა ის, როცა კანონს უწოდებენ ყაჩაღებს, ოცა ხალხს მოუწოდებენ ლოზუნგით—ძირს კანონიო? რომელ ქვეყანაში აკრიტიკებენ აგრე კანონებს? სადაური დანაბუთებელი კრიტიკა ეს? ვერც ერთ თაზულემაში ადამიანი ვერ ამოიკითხავს ამ გვარ კრიტიკას! დედამიწის ზურგზე არსებული არც ერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია არ დასტოვებს დაუფელად მას.

ჩვენშია შესაძლებელი ისეთი მწერლების გაზეთის ფურტლებზე ჯირითი, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ისეთ ადგილებში, თუ გინდ, „ბროდინაია სობაკა“-ს ცხეში, სადაც თავისუფლად შესაძლებელია ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების დამახინჯება, უცენზურო ლაპარაკი და მოქმედება... ამ ყაიდის მწერლები ჯიკითხებენ „ხეკლასტური“ პარტიის— „საქართველო“ ს ფურტლებზე: გვლანდავენ, გვაგინებენ ჩვენ და,

ალბათ, ფიქრობენ, რომ ქართული ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ... ქვეშაირიტად საბრალო ქართველი ბურჟუაზია: მისი ჰურიითა და ერობითი „ბეკლასიურ“ ფორმაში შეფარებული, იკვებება უსახელო ფურტურისტი...

## მდგომარეობა ირლანდიაში

„ტიმისში“ მოთავსებული საგანგებო კომისიის მოხსენება ირლანდიის მდგომარეობის შესახებ. მოგვეყვას მოხსენების მოკლე შინაარსი: ირლანდია მოცულია რევოლუციონური მოძრაობით. ინგლისის მთავრობას ძლიერ აფუქრებს ირლანდიის მდგომარეობა. ირლანდიაში თანდათან იზრდება და მტკიცდება მესწრაფება და სურვილი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებისადმი. საგანგებო დელეგაცია, რომელიც ირლანდიაში ამერიკელ ირლანდიელებისაგან, დაათვალიერა მთავარი ოლქები, სადაც რევოლუციონური მოძრაობა და მთავარი ქალაქების სატუსალოები. დელეგაცია ირლანდიაში მისულსთანავე დარწმუნდა იმაში, რომ ირლანდიის სამხედრო ძეგლები მოუზღვენიან. საოკუპაციო ჯარი 100,000 მდგა. ჯარი საუკეთესოდ არის შეიარაღებული. რაც შეეხება გერმანელების წინააღმდეგ ტანკები, ტვირთმტვირთველები, ჰაეროპლანები, ჯავშნიანები და სხ. რაც იყო, ამ ეამად ყველა ესენი ირლანდიაში გაუგზავნიან. სატუსალოები გავსებულია პოლიტიკური დამნაშავეებით. მათ ძალიან ცუდად ეკუთვნის: ცალკე კაპერებში ჰყავთ დამწყვედული, საქმულ სასწულს არ ძღვევენ საყოფს და ამიტომ ტუსალები შიმშილობენ, ჯარისკაცები შედიან თავისუფლად და ტუსალებს სცემენ. მთელი ზამთრის განმავლობაში დაპატიმრებული ასახმდე გაყინულ წყალს და ბევრი გაცივდა და მოკვდა ბევრი პარტიმარი შეიშალა ქუდიდან და გაგზავნილ იქნა საგაზეთში. დელეგაცია მოწამე გახდა ირლანდიაში ერთი შემადიქუნებელი ამბისა: ინგლისელ პოლკოვნიკის მეთაურობით სცემეს პროფესორ ჯონს შეკელისი. ამ ეამად ირლანდიაში არსებობს სამხედრო ორგანიზაცია, 200,000 კაციისაგან შემდგარი. მართალია ცუდად შეიარაღებულია და არტილერია არ აქვს ამ ორგანიზაციას, მაგრამ სარდლობა კარგი ჰყავს და დისციპლინაც ჩინებული. ყოველ მხრიდან განცხადებები მიდის: არ შეუშინდებთ არავითარ რეპრესიებს და ახათ ვართ ჩვენი საქმეებისათვის ვიბრძობოლო. ამ 200,000 კაცის ამოწყვეტა ვერ გადასტკრის ირლანდიის პრობლემას. მათ ზურგს უმაგრებენ სხვები. ახალგაზრდებიც მდერიან „საღდათის სიმღერას“ და ყვირიან „გაუმარჯოს რესპუბლიკას“.

## გან. ნათიშვის მოხსენება

ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისთვის მათეშში მოკლული გენ. ნათიშვის მოხსენება, რომელიც მან წარუდგინა აპრილში „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო მმართველობის უფროსს“ ეკატერინოდარში. მოხსენება შემდგეს შეიცავს: „მოხალისეთა ჯარის ძღვევაშილიშა ოპერაციებში ჩრდილოეთ-კავკასიაში გასტეხეს ბალშევიკების ბატონობა დაეხლა რუსული სამფეროვანი დროშა თავისი ისტორიული უფელის ძალით ფრიალებს იქ, სადაც ამ ასი წლის წინად დაიწყო გამართული ბრძოლა კავკასიის დასაპყრობად. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ტომები აცხადებენ თავის მორჩილებას და ერთგულებას ერთიანი რუსეთის იდეისადმი და უკვე დაწყებულია „ტუშენი“ სამხედრო ნაწილების მოკროვება, რომ ერთიანი მუშაობა ვაწარმოვით ბალშევიკების წინააღმდეგ. სხვათაირი მდგომარეობაა ამიერ-კავკასიაში, რომელიც პოლიტიკური და ტოპოგრაფიული პირობების ძალით, თანდათან შორდება ერთი-







ცეცხლი გადავიდა მეზობელ სახლებზედაც და ემუქრებოდა თვით საბაქოს. ამის გამო იქაურ პოსტზე მდგომმა მილიციონერებმა ასტრეხეს სროლა, რამაც დიდი შიში დაბადა მახლობლად მცხოვრებლებში. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა შესძლო ცეცხლის დროზე ჩაქრობა. ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება სოხუმში მსგავსად.

ბორჯომში მისცეს საქართველოს რკინის გზათა შემახველ გამოსახულებულ კისის მთავარი კონტროლიორი გუნია. მას ბრალდება ყალბი საბუთებით ფულის მიღება.

ქართული ლაბარია. მეორე ქართულში კლუბმა გაასალა 200.000 მანეთის ბილეთები ქართულ ლაბარიისა.

მოსამსახურეთა მიღება. ქალაქის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტს პრეზიდენტმა დაადგინა, რომ სასურსათო განყოფილებაში მოსამსახურეთა მიღება ადვილობრივ კომიტეტის დაუკითხავით არ ხდებოდეს.

სტატისტიკური კომიტეტი. 11 აგვისტოდან დაიწყო მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკო კომიტეტი.

ცეცხლი 10 აგვისტოს მეორე სასურსათო მალაზიაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დროზე შესძლო მისი ჩაქრობა. ზარალი გამოურკვეველია.

ხავადმყოფო კახა. ქალაქის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა დაარსოს ქალაქის მოსამსახურეთათვის საავადმყოფო კახა.

სასწრაფო მუშაობა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლათ. ამ შენობაში განზრახულია მოთავსება ყველა სამინისტროსა და ოჯახილურ დაწესებულებათა.

მთავრობამ დაადგინა გადასდოს მომარაგების სამმართველოს განკარგულებაში 25 მილიონი მანეთი საბავაგის შესაქმნათ.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება სამინისტროსთან გადასახლების განყოფილების დაარსების და საერთოდ გადასახლების საქმის ორგანიზაციის შესახებ მთავრობამ დაამტკიცა.

ქურდობა. 29 ივლისს ალექსანდრე გონაძის ბინიდან ბოროტ-გამზრაველებმა მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 25,000 მანეთის. მილიციის მიერ მიღებული ზომებით უკვე აღმოაჩინეს ქურდი—ვახილი ნერსიოვის ძე ტყეოსოვი. მოპარული ნივთები დაუბრუნდა პატრონს. ქურდი ციხეში გაგზავნეს.

ქმარის დაჭრა. 9 აგვისტოს ცხინვალის ქუჩაზე მცხოვრებ ნატალია მღვდელადისამ მიძინეთ დასჭრა ყელში თავისი ქმარი მღვდელადის ქალი დაატუსაღეს.

სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამეგობა მოუწოდებს კოოპერატივებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებაში მოსამსახურეთა წარმომადგენლებს დაესწრნენ გამეგობის გაფართოებულ კრებაზე ოსშაბათს, 13 აგვ., საღამოს 7 ს. (ალექსევის ქუჩა № 7). განსახილველია შრომის სამინისტროს წინადადება—კვირა უკვე დღეების წინადღეს მალაზიების ადრე დაკეტვის წესის შეცვლის შესახებ.

დღეს, საღამოს 6 ს., დანიშნულია კუჩის მცირე კოლექტივის მორიგი სხდომა ავკალის მ. კლ. და სახალხო კითხვათა აუდიტორიაში.

თფილისის ქალაქის საბჭოში 1918 წლის განმავლობაში შესდგა 43 სხდომა. 43 სხდომას უნდა დასწრებოდა (120,43) 5 160 ხმოსანი, დაესწრნენ კი, 2,345 საშუალოთ თვითეულს სხდომას დაესწრო 54<sup>23</sup>/<sub>43</sub> ხმოსანი.

1918 წლის განმავლობაში ხმოსნობაზედ უარი განაცხადა 26 ხმოსანმა.

120 ხმოსანიდან 26 არც ერთხელ სიტყვა არ წარმოუთქვამს საბჭოში, ხუთი ხმოსანი გამოდიოდა ყველა სხდომებზე.

ხუთი ხმოსანი დაესწრო ყველა სხდომას.

1918 წლის განმავლობაში საბჭოს სხდომებს დასჭირდა 146 საათი და 10 წუთი თვითეული სხდომა გრძელდებოდა საშუალოდ 3 საათი და 24 წუთი.

1918 წ. საბჭომ განიხილა 461 მოხსენება, თვითეულ მოხსენების განხილვას მოანდომა საშუალოთ 18 წუთი და 2 წამი. განხილულ მოხსენებათა შორის იყო: დამხარების მიცემის შესახებ—64 მოხსენება, არჩევნები—34, შეკითხვები—27, განათლების საკითხი—26, ხმოსნობაზედ უარი—26, საავადმყოფოების შესახებ—24, ფინანსური საკითხები—19, სურსათის—16.

ოთხი სხდომა დაიხურა ხმოსნების ადრე წასვლის და კვორუმის უქონლობის გამო.

შეიდი სხდომა არ შესდგა.

# უცხოეთი

## ვილნიუსის გასამართლების ალაგა.

„რენესანსი“ სწერს: რადგანაც ინგლისში იზრდება უკმაყოფილება, რომ ლონდონი არის არჩეული იმ ქალაქად, სადა გასამართლებენ ვილნიუსს, სახავო კონფერენციის წრეებში ეხლა ეძებენ სხვა ქალაქს. სრულიად ეჭვს გარეშეა, რომ არც პარიზი, არც ვაშინგტონი და არც ბრიუსელი არ დაყაბულდებიან, რომ ამ ქალაქებში გასამართლონ ვილნიუსი. ფიქრობენ რომ ამ ადგილად იქნება ქ. მონტე-კარლო.

## გერმანიის ჩაძირული ფლოტის ამოღება.

„რენესანსი“ იტყობინება: „სწარმოებს დიდი მუშაობა გერმანიის ჩაძირული ფლოტის ამოსაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ფლოტის დიდი ნაწილი გადაჩნება. წვრილი კრეისერები და ნაღმონები უკვე ფონზეა გატანილი. მომავალ წლამდე გერმანიის ფლოტი მთლიანად იქნება ამოღებული.“

## გერმანიაში მიხვდა თფილისში ყოფილ გერმანიის მისიის.

გაზეთ „ტან“ 7 ივლისს თარიღით იტყობინება, რომ ეს არის ეხლა გემით „გულ-ჯემალ“ ბრეინში მოვიდა გენ. ფონ-კრესსი, გერმანიის მისიის წევრები და უკანასკნელი გერმანიის სალდათები, რომლებიც კავკასიაში იყვნენ სდა აგრეთვე კეოში პირები, რომლებიც კონსტანტინეპოლში ცხობრობდნენ. იმ გერმანულ ჯარებიდან, რომლებიც სამხრეთ-რუსეთში მოქმედებდნენ და აგრეთვე მაკენზენის ჯარებიდან დარჩა 6,500 კაცი, რომლებიც უფროსობს გერმანელი აღმირალი გონმანი და რომლებიც ეხლა არიან ლაგერში სალონიკთან, საიდანაც მათ გადაიყვანენ სამშობლოში.

## ოტო ბაუერი მსოფლიო რევოლუციის შესახებ.

ივლისის დამლევს ოტო ბაუერი ვენის „მუშათა გაზეთში“ მოათავსა მთელი სერია წერილებისა, სადაც არკვედა მსოფლიო რევოლუციის საკითხებს. როგორც ვიცით, ოტო ბაუერი არის ავსტრიის სოციალდემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერი და მისი აზრები გამოხატავენ ამ ფრთის აზრებს. სტატიები ეხება იმ ამახების ანალიზს, რომლებიც ეხლა დასავლეთ ევროპაში ხდება. ბაუერი იმ დასკვნაზე მიდის, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს, ვითარცა, თითქმის ამ ქვეყნებში დაუყოვნებლივ შეიძლება სოციალისტური წყობილების შემოღება, პირიქით, კაპიტალიზმი იქ ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე წინა დროს და ზენ მხოლოდ იმედი უნდა გვქონდეს, რომ მოხდება ნელი და სრულიად მშვიდობიანი ევოლუციის სოციალური წყობილებისა მისი დემოკრატიისა.

## გადასახადი დაუქორწილებელ კაცებზე სერბიაში.

„ტანის“ ის ცნობით სერბიაში შემოიღეს გადასახადი დაუქორწილებელ კაცებზე. ვაქაციები 18—30 წლამდე იხდიან გადასახადს 30 დინარს თვეში, 30 წლისაზე გადაცილებულები კი 60 დინარს თვეში.

## სამხედრო საინინსტრუქი

### სადამინისტრაციო განყოფილება.

სამხედრო სამინისტროს სადამინისტრაციო განყოფილებაში ცვლილება მოხდა. ერთი კაცის მავიერად, რომელიც ამდენ ხანს განაგებდა და ხელმძღვანელობდა მრავალ დაწესებულებებს, შემდეგში კომიტეტი გაუშვებდა, კ. გოგუას თავმჯდომარეობით. თუ რა დიდი მოვალეობა აწევს ზემოხსენებულ კომიტეტს, ამზე არ ვილაპარაკებ, რადგანაც ეს ყველა სათვის ცხადია, მხოლოდ მინდა ორიოდ სიტყვით აღვნიშნო ის ნაუღლუფანებანი, რომლებიც წარსულში ხდებოდა და რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციონ ახალმა ხელმძღვანელებმა.

ჯარის გამოკვება, მისი ჩაყმა დახურვა, ამ საქმეებზე მომუშავე პირების დანიშვნა და ორგანიზაციების მოწყობა, აი უმაჯურესი საზრუნავი სამხ. სადამინის. განყოფილების ხელმძღვანელ კომიტეტისა. აქამდე, არც ერთს საწყობში და არც ნაწილებში, რომელსაც უძღვებოდა ზემოხსენებული ორგანო, არ ყოფილა საკმაო წესრიგი, რაიც შეიძლება დამტკიცდეს იმ რევიზიის ოქმიდან, რომელიც მოახდინა მთავრობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ, დაფუძნებული კრების წევრის ლ. ა. ელენტის ხელმძღვანელობით. დიდი ნაწილი მოქმედი პირებისა ცარცვადენ და ანადგურებდნენ, რასაც კი ხელს მოავლდნენ და იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ საწყობები, როგორც სურსათისა, აგრეთვე ტანსაცმელებისა, დაეარჩილდნენ და ამ

ბოლოს იძულებულნი გახდნენ შეეძინათ ისეთი სანთავაგე და საჭირო მასალები, რომლებიცაც არამც თუ სარგებლობა შეიძლებოდა, სახმარადაც შეუძლებელი გახდა. როდესაც სხვა დაწესებულება, ყოველთვის ახერხებს იშოვნოს ხორბალი, ფქვილი და სხვა, ამ დროს განყოფილების დამსახურებული პიროვნება ბნი დეკანოზიშვილი ყოველ მხრით ეხებებოდა, წუწუნებს, რომ არაფერი არ იშოვნება, თუ იშოვნა რაიმე, დაწესებულნი ფისები ნებას არ აძლევენ შეიძინოს და სხვა. ამაგებს ყველას თანაუგრძობს ბნი ყიფშიძე, მაგრამ ფაქტურად განყოფილების გამგებნი ხომ დეკანოზიშვილი, ქარუმიძე, მაკავარიანი და სხვანი არიან. ყიფშიძე კი მათი დამჯერე და აქი ყველა ასეთები—ქებით იხსენიებენ მას და დიდ გულ-კეთილ კაცათ სთვლიან? მაგრამ საზოგადო საქმის ასრულების დროს გულკეთილობა, როდესაც ასეთს ზარალი მოაქვს, დანაშაულობა და ყველა იმ მასალის შემდეგ, რომელიც სამხ. სამინისტროს დანიშნულ სარევიზიო კომისიას აქვს,—უნდა მიექცეს ყურადღება და ჯეროვანი მსჯავრი დაედოს.

საჭიროა ახალმა კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება მოსამსახურების გაწმენდას მიაქციოს.

## აუშათა შორის

მკერავთა პროფესიონალურ კავშირის ორგანო „მუშათა გაზეთი“ № 1 (5 აგვისტოს თარიღით) მოთავსებულა ხელ მოუწერილი ვითომდა პასუხი იმ პროტესტ-ს გამო, რომელიც იყო გამოტანილი არტილერიის საწყობის მუშების მიერ ლითონზე მომუშავეთა კავშირის წევრთა საერთო კრების წინააღმდეგ და მოთავსებული გახ. „ერთობა“ ში ჩვენ მიერ. აღსანიშნავია ის, რომ ავტორის პროტესტში სიყალბე ვერ უნახავს ან და რა სიყალბე უნდა ენახა, როცა იქ სრული ქეშმარიტებაა, მხოლოდ ავტორი ცდილობს პროტესტის შინაარსი გააცნოს საზოგადოებას ისე როგორც ეს მას საჭიროდ და სასურველად მიაჩნია. ავტორს დამახასიათებლად მიაჩნია დღევანდელი მომენტისთვის პროტესტის შინაარსი და, სხვათაშორის, ამბობს: „გტყობილობთ, რომ მუშათა მასაში ცვლილებები ხდება, მმართველი პარტია იხრწნება და ამკარად ჰკარგავს ყოველგვარ ენობას მუშებში“. არ ვიცით საიდან გამოყვას ასეთი დასკვნა ავტორს. პროტესტის შინაარსიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ალბათ, ავტორს აგრე სურს და დასწერა. მაგრამ ჩვენთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო ის კი არ არის, თუ როგორ დასწერენ „მუშათა გაზეთი“, არამედ—საინტერესო ის არის, მართლა აგრე არის თუ არა. მართალია ის, რომ მუშათა მასაში ცვლილებები ხდება და ეს მასსა უფრო და უფრო ერკვევა და ერკვევა დემოკრატიულ წყობილებას და შეგნებულად მხარს უჭერს მას. ცვლილებები ხდება ამ მხრივ და არა იმ მხრივ, როგორც ეს უსახელო ავტორს ესმის.

დღეს ყველა ნათლად ხედავს, რომ მმართველი პარტია თანდათანობით უფრო და უფრო ნდობას იხვეჭს მასსაში და საკვირველია, რათ დასჭირდა ავტორს შებრუნებლად დაწერა. ყველაზედ უფრო სასაცილო ის ალაგია, სადაც ავტორი ამბობს ლითონზე მომუშავეთა კრება უნდობლობას უცხადებს „მმართველ პარტიას“. ისეთმა თვით უნდო და უნია-აგო მოვლენამ, როგორსაც წარმომადგენის ნახსენებ კავშირის საერთო კრება, მცირე ნაწილის გამოკლებით, ამა რა უნდობლობა უნდა განუცხადოს რამელიმე პარტიას? ავტორი სიცრუესაც არ მორიდებია და ამბობს: „პროტესტანტები (ალბათ სოციალ-დემოკრატებს გულისხმობს) გაიძახიან, დეე იჭიროს მთავრობამ მუშები, ჩვენ მხოლოდ ეკონომიური კითხვები უნდა გვინტერესებდესო“ ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ოცა ის ამას სწერდა, არც კი გაწითლდა მაინც? ეგ ხომ სიცრუეა. ამა როდის იყო, რომ სოციალ-დემოკრატები ასე უყურებდნენ საკითხს? ჩვენ ყოველთვის დამბოღით და ვამბობთ, რომ პროფესიონალური კავშირთა მთავარი დანიშნულებაა ემსახუროს მუშათა ეკონომიურ მხარეების მოწესრიგებას; რაც შეეხება პროტესტის საკითხებს, რასაკვირველია, ის ეკონომიურ მხარეების შესწავლის და მოწესრიგების დროს შეგუძლება და მას კავშირები დასვამენ საკითხად, მაგრამ არა იმ მხრით, როგორათაც ეს აჩვენებული აქვს ლითონზე მომუშავეთა კავშირის საერთო კრებას, რომელიც თავდავიწყებამდის მიდის და უნდა სახელმწიფოში მეორე სახელმწიფო შექმნას, არამედ ისეთად, როგორც ეს საჭირო არის და მისაღები პროფესიულ დაწესებულებისათვის. რა საჭიროა სამინისტროები, განსაკუთრებით საინსტიტუთო მის დეპარტამენტები, თუ კი

ამა თუ იმ ბრალდებულთ გამოიძიებულთ განათავისუფლებს პროფესიონალური კავშირები? ვერ გამოვიდა რათ უკვიროს ვაჭარებებს, როცა იმათ ასტრეხეს სროლა და ნაღმდგო პროტესტი გამოიწვიეს? უნდათ მათ ის სწავლიან ეკონომიკის, კეკი ვამბობთ: დღევანდელი ხაზი ლითონზე მომუშავეთა კავშირის საერთო კრებისა არ არის სწორი და ასეთი პოლიტიკა მას წააფორბილებს ახლო ხანში და დაამარცხებს კიდევ.

შ. ფარცხელი და ა. ჩოლოქის-პირელი.

## ს.-დ. პარტიაში

### ინსტრუქცია თფილისის ს. დ. მ. პ. მრგანოვან-ციხინოსის.

- 1) თფილისის კომიტეტის და რაიონულ კოლექტივების წევრებს ირჩევს რაიონის საზოგადო წევრთა კრება წესდების მე-5 მუხლის თანახმად.
- 2) რაიონის წარმომადგენელი კომიტეტში უმჯველად უნდა ესწრებოდეს რაიონის კოლექტივის კრებას და იქ დაწერილებით აქეთებს კომიტეტში დასმულ ყველა საკითხებზე მოხსენებას. ამასთანავე იგი ვალდებულია კომიტეტს დაწერილებით მოხსენება გაუკეთოს რაიონის მდგომარეობის შესახებ.
- 3) შენიშვნა: 1) რაიონის წარმომადგენელს თუ კრებაზე საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლიან დაესწროს, ის თავის მანდანტს წინასწარ აძლევს თავის კანდიდატს.
- 2) თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი არა საპატიო მიზეზის გამო კრებას თვეში ორჯელ არ დაესწრო, ის გამოიცილებულად ჩაითვლება და მის ალავს იქნოს კანდიდატი.
- 3) ხელმძღვანელი ორგანიზაციების არჩევნები ხდება წელიწადში ორჯელ—იანვარში და ივნისში.
- 4) შენიშვნა: თფილისის ყველა ხელმძღვანელი ორგანიზაციებში არჩევნები ხდება ერთ და იმავე დროს.
- 5) კომიტეტში წარმომადგენლობითი პეტრი განისაზღვრება შეიდას კაცზე ერთით. თუ რაიონში 700 ნაკლებია, მაინც ერთ წარმომადგენელს ირჩევენ.
- 6) რაიონული კოლექტივის წევრებს ირჩევენ პარტიულ წევრთა რიცხვის მიხედვით. 1 და 2 კოლექტივები შესდგებიან 21 წევრისაგან. მე-3—13, მე-4—11, მე-5—9, მე-6—11 და მე-7—15-დან.
- 7) მცირე კოლექტივების წევრთა რიცხვს საზოგადო თვით რაიონული კოლექტივები.
- 8) არჩევნები ყველა ორგანიზაციებში ხდება ფარული კნქის ყრით. კომიტეტის წევრის თანადასწრებით.
- 9) თუ თფილისის ხელმძღვანელი ორგანიზაციები საჭიროდ დაინახავენ, შეუძლიათ დაუშვან სათათბირო ხმით სხვადასხვა სოც.-დ. ორგანიზაციების და ფრაქციების წარმომადგენელი.
- 10) ყველა რაიონები საზოგადო კრებებზე ირჩევენ რაიონულ სარევიზიო კომისიებს. ხოლო შეერთებული თფ. ორგანიზაციების კრება—თფილისის კომიტე ის სარევიზიო კომისიას, რომელსაც უფლება აქვს ოცევიზიის მოხდენა აგრეთვე რაიონულ ორგანიზაციებშიაც. სარევიზიო კომისიების წევრთა რიცხვს საზოგადო თვით საზოგადო კრება.
- 11) მოეწყოს ქარბანა ფარაკებში და უბნებში მცირე კოლექტივების სახის პარტიული იარეიკები.
- 12) მცირე კოლექტივები არიან კოლექტივების დამხმარე ორგანიზაციები და მოქმედობენ მისი დირექტივების თანახმად.
- 13) ყველა პროფესიონალური კავშირებში სდგება სოციალ დემოკრატიული ფრაქციები, რომელთანაც მქიდრო კავშირის იჭერს პარტიული ხელმძღვანელი ორგანიზაციები მუშაობის სწორე ხაზის დასაცავად.
- 14) მცირე კოლექტივებში ახდენენ ახალ წევრთა რეგისტრაციას და ახალ პარტიულ წევრების სიას უდგენენ რაიონულ კოლექტივებს დასადასტურებლად.
- 15) პარტიული წევრთა ვალდებულება ითვლებოდეს პროფესიონალურ კავშირის წევრად და იღებდეს აქტიურ მონაწილეობას მის გამოსვლებში.
- 16) პარტიული ორგანიზაციები არ უნდა ეროდენ ადმინისტრაციულ საქმეებში.
- 17) კომიტეტის და კოლექტივის ყოველი შემოსავალი და ვსავალი იწურება საკასო დავთარში, ხოლო იქ, სადაც საჭიროა ანგარიშვანობისთვის უნდა შემოღებულ იქნას დამხმარე დავთრები და ვისთვისაც საჭირო იყოს, მისთვის ვაიხსნას პირადე ანგარიში.
- 18) ყოველი შემოსავალი თუ ვსავალი



უნდა იწერებოდეს განსაკუთრებულ ორდერში.

19. ორდერებიდან შემოსავალ-გასავალი უნდა გადატანილ იქნას საკასო დავთარში.

20. ფულის ოპერაციები სწარმოებს მიღება-გაცემისთანავე.

21. გაწეულ ხარჯების განსაზღვრულ საბუთებს აუცილებელი უნდა იყოს ორდერის მეორე ნახევარი, რომლითაც გატარებულია ხარჯის წიგნაკვი.

22. ყოველ შემოსავლისთანავე უნდა იძლეოდეს სათანადო ბარათი—ორდერი, ყოველ განსავალს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საბუთი, რომელშიც საქმეებში უნდა იწინებოდეს.

23. ფულების მიღებისთანავე უნდა იცემოდეს კვიტანცია.

24. როგორც ორდერები, ისე სხვა წიგნაკვები, რომლებიც გაცემის რაიმე გადასახადის ასაკრებდა, უპიკველად უნდა იყოს თფილისის კომიტეტის მიერ დანომრირებული და აღწერილი, თუ ვინ გასცა და რამდენი ფურცელია შიგ.

25. ყველა საქმე საანგარიშო წიგნები და აგრეთვე განსაკუთრებული შემთხვევებისათვის შემოღებული წიგნაკვები, რომლითაც ფული გროვდება, იქნას თფილისის კომიტეტი და აიღვეს ყველა თფილისის ორგანიზაციები. ფულების შოკრება აკრძალულია თუ არა თფილისის კომიტეტის მიერ გაცემულ დანომრირ და დალუქული კვიტანციებით.

26. ყოველ თვის ბოლოს, როგორც თფილისის კომიტეტი, ისე რაიონების განსაკუთრებულად ამ საქმისათვის შეპოლებულ თვიურ საანგარიშო ფურცელზე, ეგრედ წოდებულ „ტუქვება თანხათა ტოილისა“, უდგენენ კომიტეტს საანგარიშო თვის შემოსავალ-გასავლის ცალკე ანგარიშს და იმ ცნობებს, რომელიც აღნიშნულია თვით ტუქვების ხაზებში.

27. ნაღდი ფულები, გარდა ყოველ დღიური მოახზონილების საქმეო ჯანისა, უნდა იწინებოდეს ერთ-ერთ საკრედიტო საზოგადოებაში.

28. შემოსავალ გასავლის წიგნებს აწარმოებს მდივანი, ხოლო ნაღდი ფულები აბარია ხაზინადარს.

შენიშვნა: ხაზინადარს და მდივანს შორის ფულების მიცემა-მიღებას აწარმოებენ ფორმალური წესით.

29. რაიონული კოლექტივები თავიანთ ოქმების ასლს უზღავნიან თფილისის კომიტეტს, ხოლო მცირე კოლექტივები რაიონებს.

30. წევრთა სარეგისტრაციო დავთარი შევსებულ უნდა იქნას ისეთ ნაირად, რომ ნათლათ დაგვიხატოს წევრთა სოციალური მდგომარეობა.

31. თფილისის კომიტეტი ხელმძღვანელობს თფილისის ორგანიზაციების იდეურ მუშაობას.

32. ამ მიზნის განსახორციელებლად თფ. კომიტეტი იწყებს არა ნაკლებ თვეში ერთხელ თფ. ორგანიზაციების შეერთებულ კრებას და აგრეთვე თითოეულ რაიონში საზოგადო კრებებს პარტიის წევრებისას.

33) თბილისის კომიტეტი ვალდებულია იქონიოს თბილისში მცხოვრებ პარტიულ მოღვაწეთა რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობები, თუ ვინ მათგანი რას აკეთებს პარტიაში.

34. თფილისის კომიტეტმა რაიონულ კოლექტივებთან შეთანხმებით უნდა აწარმოოს პარტიულ კულტურული მუშაობა: 1) გახსნას პარტიული სკოლა, 2) იყოლოს აგიტატორ-ლექტორთა კოლეგია და 3) გამოსცეს ყოველ თვიური ს. დ. ჟურნალი.

35. ამხანაგებს, რომლებიც ითვლებიან თფილისის ორგანიზაციებში და არ იწვევიან პარტიულ მუშაობას, წინადადება უნდა მიეცეს განსახლებული დრო უძღვანარ პარტიულ მუშაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტს ევალება მათ წინააღმდეგ მიიღოს შესაფერისი ზომები.

36. ამ ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარება ევალება თფ. ორგანიზაციებს და თვალყურის დევნა განსაკუთრებით თფ. კომიტეტს.

### პროპინცია

სოთა რამ ზუკინის მარჯაზე.

ერთი წელი გადის მას შემდეგ, რაც გურიაში შემოღებული არის სამაზრო ერობა. ამ ხნის განმავლობაში გურიის ერობას მეტად ევალ პარტიებში უხდება მუშაობა. უნდა ითქვას, რომ არც ერთი ერობა ჩვენი რესპუბლიკის ისეთ კრიტიკულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, როგორც გურიის ერობა, რადგანაც მას არ ჰქონდა არავითარი სალსარი და მასთან კიდევ ერობის მუშაობის დასაწყისში, გურიის ეწვია საშინელი გადამდეები სენი, რომელიც მუსრს ავლებდა ხალხს, როგორც იყო „ისპანკა“ და სხვადასხვა სა-

ხადი. ერობის ყურადღებაც პირველად ამ მოვლენამ მიიქცია და კიდევაც შესძლო ხალხისთვის დიდი დახმარების აღმოჩენა. იქნა დაგზავნილი საზოგადოებაში ექიმები და ექურვლები, მოეწყო საექიმო პუნქტები, რომლებიც ესლაც დიდ დახმარებას უწევს ხალხს. ამასთან კიდევ ერობა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს აქცევდა ყურადღებას და თუ ბევრი არა, ცოტა მაინც არის გაკეთებული. თუმცა საყვედურები ბევრი ისმის, ხალხიც უკმაყოფილო არის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერობა ჩვენში ახლათ ფეხდგმული და ნორჩია. მას შეუძლია შეცდომები ჩაიდინოს და ჩვენი მოვალეობა არის ამ შეცდომებზედ მივუთითოთ.

შეცდომათ უნდა ჩაითვალოს სამაზრო ერობის განკარგულება, რომლის ძალითაც მოიხსნა საზოგადოებაში მილიციონერები წვრილი ერთეულების შემოღებამდე. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სოფელი უპატრონოდ დარჩა—არავითარი ადმინისტრაციული აპარატი არ არსებობდა. დარჩა მხოლოდ კომისრები თავიანთი ბეჭდებით და ადვოლი წარმოსადგენია, თუ რას გააკეთებდნენ ისინი, როდესაც მათ არავითარი ძალა არ ყავდათ. ძალიან დაგვიანდა კიდევ წვრილი ერთეულების შემოღება. ესლა კი, როგორც იყო, ვედირსეთ წვრილი ერთეულების ხმოსანთა არჩევნებს და ამ რიგათ გურიის ყველა საზოგადოებებში შეიქმნა თვითმართვლობითი ორგანიზაციები, რომლებზედაც არის დამყარებული ბევრი რამ. თუ კი ეს წვრილი ერთეულები თავის სიმალეზედ დადგებიან, ეს ხელს შეუწყობს როგორც სამაზრო ერობის, ისე თვით სახელმწიფოს განმტკიცება-გამაგრებას.

ამიტომ სამაზრო ერობის გამგეობამ უმთავრესი ყურადღება ესლა ამ წვრილ ერთეულების ორგანიზაციის უნდა მიიქციოს. სამაზრო ერობამ უნდა მისცეს წვრილ ერთეულებს გარკვეული გეგმა, სისტემა მუშაობისა და ჩაყენოს ის ნორმალურ კალაბოტში, ეს მით უმეტეს საქმეო არის, რადგანაც ერობა ჩვენში ახალი საქმეა და დახელოვნებული საერობო მუშაკები ჩვენ არ მოგვეპოება. სამაზრო ერობას ჯერ ინსტრუქციები წვრილი ერთეულებისათვის არ მიუცია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის გურიის ყველა საზოგადოებებში ერთეულები გამგეობები უკვე შემდგარი არის და იმათ არც კი იციან, თუ რა არა უფორმით აკეთონ. ამიტომ საქმეო არის სამაზრო ერობის გამგეობამ დაუყოვნებლივ მოიწვიოს წვრილი ერთეულების ხმოსანთა ყრილობა და თუ ეს შეუძლებელი იქნება, გამგეობის წევრები მაინც აუცილებლათ მოიწვიონ. ამ ყრილობაზე როგორც ხმოსნები, ისე მით უმეტესათ გამგეობის წევრები, უნდა გაარკვიონ იმაში, თუ რა შეადგენს მათ მოვალეობას და რა უნდა აკეთონ. აუცილებელი საქმეო არის აგრეთვე სამაზრო ერობის გამგეობამ ხშირი თვალყური ადევნოს წვრილი ერთეულების მოქმედებას, რომ ამ ნორმის ორგანიზაციამ რაიმე შეცდომითი ნაბიჯი, არ გადადგას.

ამისთვის საქმეო არის ადგილობრივად ჩამორება და საქმეების გაცნობა. საქმეო არის აგრეთვე წვრილი ერთეულების ხმოსნებმა იცოდნენ, თუ რა დიდი მოვალეობა აწევს მათ და რა დიდი პასუხისმგებელი არიან ისინი როგორც ამომარჩევლის, ისე სახელმწიფოს წინაშე. ჩვენში საბუდუროთ მოვალეობის შეგნება ძალიან სუსტობს. შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი გურიის ერთ-ერთ წვრილი ერთეულის პირველ ხმოსანთა ყრილობას, რომელმაც ერთი საათი მოანდომა სარევიზო კომისიის წევრების არჩევას, რადგანაც ყველა კანდიდატი უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ დრო არ მაქვსო. ეს მოვლენა ყოველთა შეუწყნარებელი და მიუტოვებელია. ხმოსნებს კარგათ უნდა ახსოვდეს, თუ რა დიდი მოვალეობა დააკისრა მათ ხალხმა.

ასევე ითქმის ზოგიერთ სამაზრო ერობის ხმოსნებზედაც, რომლებიც ხშირათ არც ესწრებიან ყრილობას, და თუ მოვიდნენ ხშირათ სიჩქარით საქმეს აფერხებენ.

გურიის სამაზრო ერობის გამგეობამ ყურადღება მიიქცია ხალხში იდეური მუშაობის გაჩაღებას. ამ მიზნისთვის მან გადასდო საქმეო თანხა.

მუშაობა უკვე სწარმოებს პროპაგანდა აგიტაციის სახით, 21 ივლისს ოზურგეთში გაიხსნა სამაზრო ერობის ყრილობა, რომელმაც გასტანა ოთხ დღეს. ყრილობის მუშაობა ნაყოფიერათ ჩატარდა.

სამაზრო ერობის გამგეობაში მოხდა ცვლილება. ერობის თავმჯდომარემ გლად ცეცხლამე უფრო განაცხადა თავის თანამდებობაზედ. ყრილობა იძულებული გახდა მისი კატეგორიული განცხადება დაეკმაყოფილებია.

ყრილობამ მწუხარება გამოსთქვა ამხ. ცეცხლამის წასვლით და დიდი მადლობით გამოეთხარა. გამგეობის შემადგენლობიდან გავიდა ამხ. გიორგი შილაკაძე. გამგეობის თავმჯდომარეთ ს. დ. ფრაქციამ წამოაყენა ამხ. სიო ქანტურიშვილის კანდიდატურა, გამგეობას წვერათ ამხ. კალე ქავთარაძე. ორივეს კანდიდატურა ყრილობამ ერთხმით მიიღო. ამხ. ქანტურიშვილი და ქავთარაძე უკვე შეუდგენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

### წარ. რადასიის მიხარტი

ღია ბარათი ჯგმაღ-ზეგ ხიმშიაშვილს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგებ, თქვენ ისევ ძველ გზაზე დგებით და ცდილობთ ჩვენი საწყალი ხალხი ისევ უბედურებაში გახვიოთ. თქვენ თურმე აშკარათ გაიძახით, რომ გინდათ დენიკინი და ხალხსაც ეუბნებით, რომ ერთად ერთი მისი მსხველი დენიკინია.

გვეგონა, რომ ახლა მაინც ქუაზე იყავით მოსული, მაგრამ იმედეები გავიცრუვდა.

თქვენ ხალხის დიდი უმრავლესობა კარგათ გიცნობთ ვინც ბრძანდებოდით და ახლაც ბრძანდებით და თუ თითო-ოროლა პირები კიდევ თქვენთან არიან და ვერ გაუგიათ თქვენი მუშაობის შინაარსი, ისინიც მალე გაიგებენ. უკანასკნელად პირდაპირ მოგმართათ. აიღეთ ხელი ხალხის სახარალო და მუშაველ მუშაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთხელ და სამუდამოთ ეცოდინება როგორც ხალხს, ისე მეც, ვისთანაც გვექება საქმე მომავალში თქვენის სახით.

ასლან აბაშიძე.

4 აგვისტო, 1919 წ.

### თეატრი და მუსიკა

„პროლეტარული ხალამობი“.

ამ სახელწოდებით 9 და 10 აგვისტოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გამართა დიდი კონცერტი ფართო პროგრამით. მუშათა კლუბის საზაფხულო შენობა ლამაზად იყო მოთვლილი, ბალში უკრავდა სახალხო კონსერვატორიის სიმებიანი ორკესტრი და სამხედრო მუსიკა. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო თეატრის არტისტები და აგრეთვე ამავე თეატრის და კავსაძის გუნდები. დასწრე საზოგადოება მეტად დაატკბეს თავის სიმღერით ქ.ქ. ვიშნისკაიამ, ანსამ და მორაზოვამ და ბ.ბ. ქურხულაშვილმა, დემიანენკომ, კურბატოვმა, ნაკოლსკიმ და სხვებმა. ამაში უმთავრესად აღსანიშნავია ბ. ნიკოლსკი, რომელიც სახელმწიფო თეატრში პრემიერად ითვლება და განთქმულია თავისი ძლიერი ბარიტონით. მას საზოგადოებამ მრავალჯერ გამოუძახა. დეკლამაციაში აღსანიშნავია ნეგინა, რადოლინი და აგრეთვე ნიკო გაციროსი, რომელმაც თავი სცენებით საზოგადოება გულთ აცინა. კარგი იყო აგრეთვე ანან სკრიპკაზე, ბალალაიკაზე (ვირტუოზი ფოლცი) და ვიოლონჩელზე. რაილთან იყო სახალხო კონსერვატორიის ხელმძღვანელი ბ. ცენოვსკი.

კონცერტის დაწყებამდე ბავშვების ხელმძღვანელმა სულდუკიანკმა მეტად გაართო ბავშვები. აცეკვავა, ამღერა და ათამაშა.

„სალამობმა“ ორ მიზანს მიაღწია: შემოსავალი კარგი იყო და რაც უმთავრესია, კავშირთა წევრები და დასწრე გარეშე საზოგადოება ესთეტურად დასტკბა. ამისთანა ნამდვილად მხატვრული საღამოები აღზრდის ფართო მასსებს ესთეტურად, უაღრესად შეყვარებს და მიიზიდავს მას ნამდვილ ხელოვნებისაკენ.

### მ ნ მ ბ ე ბ ი

ერთი წელიწადია ვერაფერი გავიგეთ ანდრო იაკობის ძე გრიგოლაშვილის, რომელიც მოსკოვში ვაჭრობდა. თუ ვინმემ იცით რაზე გთხოვთ გვაცნობოთ შედეგი მისამართით:

### 15 აგვისტოს დღის 1 საათზე თფ. ქალაქის თვითმართვლობის შენობაში

### საჯარო ვაჭრობით

გაიშვილება ტყავი. კანდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის თვითმართვლობის საწარმოო განყოფილების კანცელარიაში.

პეტევიკულ საზოგადოების საუუნადლებით.

### „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

იღებს ყოველგვარ საკრავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ქრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანი. შეკადინებოდა დაიწყება პირველ სექტემბრიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—2)

ქუთაისი, თფილისის ქ., ვაკილი ცაიკიორის გადასცემით და რიკო გაბეჭდვის სახლს გრიგოლაშვილს ქვერისთვის.

### განცხადებანი

ექიმი მ. ფ. შაბაძე-მედიკოსი ქალისა და საღმრთო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ლოქტორი მ. ზ. ზაზაშვილი ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

### პეკომ სამსურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე, (24—10)

ექიმი მ. ა. შაბაძე სპეციალურად სიფილისის და მისი შედეგები (შეშაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საზარელ ორგანიზების სნეულეზანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირარობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლას ქუჩა № 33.

ექიმი მ. ჯ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბუბო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი გ. მ. მუხაძე თფილისიდან გვეზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5—3)

ექიმი მ. ჯ. კამალია სიფილისის და ვენერიული სნეულეზანი. შეშაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზი ნახანს ამ მახვილაქი იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულეზებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—8 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ზ. შაბაძე-მედიკოსი შინაგანი ავადმყოფობა, კლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კანონებს; ხასინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სიღრმეით და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიბებს უფასოთ-ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—82.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი მ. ზ. ზაზაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი მ. შ. ტყეშელაშვილი მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ვენიზურის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

საექიმო კაბინეტი ექიმ მ. შ. ტყეშელაშვილის მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარელ და სასქეს ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეღვის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.